საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი; გამოდის ყოველ კვირა დღეს

№ 27 ივნისი 29 1897 წ. № 27

შინაარსი: შავიქვის მწარმოებელთა სინდიკატის გამო ფილიპე დარჩიასი.—სხვა-და-სხვა ამბები.—პროვინციის ვითარება (შემდეგი) პროვინციელისა.—„კვალის“ კორესპონდენციები.—მუზას რჩევა, ლექსი ფანდოსა.—წერილი ინგლისიდან (შემდეგი) საზღვარ-გარეთელისა.—ბიბლიოგრაფია პ. ს—ძისა.—ზოგიერთი ცუდი თვისებანი მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობის წარმოებაში, (დასასრული) ი—ზ. კაკაბაძისა.—ქიჟი, მოთხრობა (დასასრული) დ. თომაშვილისა.—ქალი ფალავანი.—წერილები რედაქციის მიმართ და განცხადება.

„კვალის“ და „ჯეჯილის“ ხელის მომწერლებს მოვაგონებთ, ვინც ფულს არ შემოიტანს 1 ივლისამდე, მათ გაზეთის გზავნა მოესპობათ.



ქალი-ფალავანი (იხ. გვ. 524).

შავიქვის მწარმოებელთა სინდიკატის გამო.

გასულ 20 მაისს, ქ. ქუთაისში შავი-ქვის მწარმოებელ საზოგადოებას საგანგებო კრება ჰქონდათ, სადაც სხვა-და-სხვა საკითხის ახსნას [შე]მდეგ კრებამ მომავალი შავიქვის მწარმოებელთა სინდ[ი]კატ[ი]ს წესდების შესადგენათ ამოირჩია კამისია. როგორც მოგეხსენებათ წესდების შედგენა, რა საქმის შესახებაც უნდა იყვეს, ძნელი საქმეა და მით უმეტეს შავიქვის მწარმოებელთა სინდიკატისა, რომელიც შეადგენს ძლიერ რთულს და ძნელათ გამოსარკვევ საკითხებს.—„საქმეც რომ ისეთი ადვილი იყოს, როგორც აზ-

რია, მთელი ქვეყანა საუცხოვო ქმნილებით აივსე-ბოდაო“, ამბობს როპახი.

ნუ დაევიწყებთ, რომ ჭიათურის შავიქვის ბა-ზარზე უმეტესი ნაწილი შავიქვის მწარმოებელთა საზოგადოებისა შედგება უმამულო ხალხისაგან, რო-მელნიც არიან, როგორც ადგილობრივი მკვიდრნი, ახალი თაობა, აგრეთვე სხვა-და-სხვა ადგილებიდან მოსულნი—ეჩვევიან ალებ-მიცემობას, სხვა-და სხვა მოთხოვნილებას და გადასახადს ამით ისტუმრებენ. თუმცა ამისთანა პირების წარმოება ყოველსავე რიგია-ნობას და წესებს მოკლებულია და უფრო მტაცებლობას წააგავს, ვინემ წარმოებას, მაგრამ ვიმეორებ, რომ ამ წარმოების წყალობით ეს ხალხი მოძრაობაშია, გა-მოცდილებას იძენს და, ვაით არის, თუ კარგათ, ოფლი ცხოვრების სახსარს პოულობს და ნამდვილი მტა-ცებლობისათვის აღარ ცალია. ახლა შეადგინე, მაგა-ლითათ, მომავალი სინდიკატისათვის იმნაირი წესდე-ბა, როგორიც ბევრს ჩვენგანს აზრათ აქვს, რომ მარტო მემამულეებს ქონდეს უპირატესობა წესდების ძალით და სხვას არა, მაშინ რას დავინახავთ? იმას, რომ ასი და ორასი კაცი ახალ-თაობის ბრბო, შეუძ-ლებლობის—სიღარიბის გამო, რომ შავი-ქვიანი ად-გილი იყიდოს, ან ხანგრძლივი იჯარით აიღოს, ხელში შეგრჩება უსაქმოთ და მართლა, რომ საზრდო მო-იპოვოს, მტაცებლობას და ქურდობას უნდა მიჰყოს ხელი.

სამწუხაროთ ჩვენდა შავიქვის მწარმოებელთა კრებამ გადაწყვიტა, რომ სინდიკატის წესდების შე-მადგენელ კამისიაში ხმის უმეტესობით წყდება საქ-მე და საყოველდღეოთ ითვლება. კამისიის წევრებათ უმეტესობა მემამულეთაგანია და ეჭვი არ არის, რომ ხმის უმეტესობაც იმათ ხელშია! ნუ დაგვავიწყდება, რომ წესდების შემადგენელი კამისიის კრება ქ. ქუ-თაისშია დანიშნული, სადაც უმეტესობა მემამულე-ებისა ცხოვრებენ და ხშირათ მოხდება, რომ ჭიათუ-რიდან რომელიმე კამისიის წევრთაგანი ვერ დაესწ-როს კრებას და ხმის უმეტესობა, როგორც ისეთაც მოსალოდნელია, მემამულეებს დარჩეს. პ რველს ივ-ნისს იყო დანიშნული კამისიის პირველი კრება და ერთი წევრთაგანი კიდევაც წავიდა დასასწრებათ ჭია-თურიდან, მაგრამ რადგან კრება არ შემდგარიყო, უბრალოთ ხარჯი მოუვიდა და უკან დაბრუნდა. სასურ-ველია, რომ წესდების შემადგენელი კამისიის კრება დაინიშნოს ხოლმე ჭიათურაში, სადაც ყველას საქმე აქვს და აქ თავის შეყრა არავისთვის უბრალოთ ხარჯს არ შეადგენს. არ მჯერა, რომ რომელიმე წევრთა-განმა კამისიის თავმჯდომარეს წარუდგინოს წერილით საკმაოთ მოსაზრებული აზრი შესახებ სინდიკატის წესდებისა, რადგან ეს საქმე მოითხოვს დიდ კამა-თობას საერთოთ. ვუსურვებ კამისიის თავმჯდომარეს, ბ-ნ ზდანოვიჩს, როგორც წრფელის გულით მოყვა-შემატკივარს შავიქვის წარმოებისას, არ აჩქა-რებულიყოს და საქმე ისე დაეგვირგვინებიოს, რომ მადლობის ღირსი შექმნილიყოს ყველასაგან.

ფილიპე დარჩია,

ს. ჭიათურა.

სხვა-და-სხვა ამბავი.

ბ-ნ. სოლოვცოვმა სქვედილს შემდეგ დატო-ვა წერილი, რომელშიაც იგი ფრიად საგუ-ლისხმო ამბებს მოგვითხრობს თავის მოღვა-წეობისას ჩაის ხის გაშენებაზე კავკასიაში, სახელდობ ბათუმის მაზრის ს. ჩაქვაში. ეს წერილი დასტამბუ-ლია გაზეთ. „შავი ზღვის უწყებებში“ (Черн. Вѣст.).

ბ-ნ სოლოვცოვს 1882 წელს უყიდნია ს ჩა-ქვას ზღვის პირათ ადგილი საზოგადოთ უცხო ქვეყ-ნის ხეხილის გასაშენებლათ. მაგრამ ბოლოს რაკი დარწმუნებულა, რომ აქ ჩაის ხეც კარგათ ივარგებ-სო, გადუწყვეტია, განსაკუთრებით ჩაის ხის ნერგე-ბის დამყნა. ამ განზრახვით მას უთხოვნია ადმირალ ჩიხაჩოვისათვის ჩინეთის მაზრის ხანკოუდან ჩაის ხის ნერგებისა და თესლის მოტანინება.

ადმირალ ჩიხაჩოვს სიამოვნებით მიუღია სო-ლოვცოვის თხოვნა და მალე ჩინეთიდან მოსული გემით მოუტანიათ რამდენიმე ჩაის ხის ნერგი და ამას გარდა ჩაის თესლიდან ამოსული ჩაის ბუჩქები. რად-გან დარწმუნებული იყვნენ, რომ თვით ჩაის ხის თე-სლი შორიქვეყნიდან გადმოტანის დროს წახდებო-და, ამისათვის არჩევს თესლის დათესვა მიწით სავსე ქოთნებში, რომ გზაშივე ჩაის ბუჩქი ამოსულიყო.

ბ-ნმა სოლოვცოვმა ბევრ დაბრკოლებას შემ-დეგ ბათუმის დამოქნიდან მიიღო ჩაის ხის ნერგები, ფრიად შეწუხებული მოუვლელობით: ნერგებს ფო-თოლი გაცვენოდა და ზოგი კიდეც გამხმარიყო. იმან დამყნო თავის ბაღში, როგორც ნედლი ნერგები, ისე გახარებული ნამყენებიც.

ჩაის ხემ ძალიან კარგათ ივარგა ჩაქვის ნიადაგ-ზე, განსაკუთრებით თესლიდან ამოსულმა ნამყენებმა. როცა ეს ნამყენები ბუჩქებათ გადაიქცნენ და მათგან ახალი თესლი მომწიფდა, ბ-ნმა სოლოვცოვმა კვლავ დათესა ჩაის ხის ახალი თესლი და ამ გვარათ ამრავ-ლა ჩაის ბუჩქები.

საკვირველი ის არის ამ პატიოსანი მოღვაწის ცხოვრებაში, რომ საზოგადო მთავრობის დაწესებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებათა შორის, როგორც მაგალითათ სამეურნეო საზოგადოებაში, ბევრი მოწინააღმდეგენი გაჩენია და შემწეობა არა მიუციათრა. მხოლოთ თვით ბ-ნი სოლოვეცევი მაინც არ შემდრკალა და საშუალებას მოკლებული მაინც განუგრძეია ჩაის ხის მოშენება და ბოლოს თავისი ხერხით უკეთებია ჩაი, რომელიც ღირსებით თურმე ნამდვილ ჩინურ ჩაის არ დაუარდებოდა, როგორ დამტკიცდა თვით ქიმიური ანალიზითაც.

ამ ჟამათ ბ-ნ სოლოვეცოვის ბაღში თურმე ექვსი ათასი ჩაის ბუჩქია ოთხი წლიდან დაწყებული თორმეტ წლისამდე. ეს გაშენებული ბუჩქები შეადგენენ ჩაის სათესლე ნერგებსა; იმათგან გამოღებული თესლებით ამრავლებენ ჩაის ხეს.

1895 წელს ამ ჩაკვეს ჩაის სათესლე ბაღიდან საუფლისწულო მამულისთვის მიუციათ 52 000 ჩაის ხის ნერგი და აწ პირობის ძალით კიდევ 68.000 ნერგი უნდა შეუსრულოს.

ყველაზე უფრო შესანიშნავი ღვაწლი ბ-ნ სოლოვეცოვის მხრით ის არის, რომ ჩაის მოყვანაში და მის ფოთლის კეთებაში მხოლოთ ჩვენებურები—გურულები და მეგრელები ჰყოლია მუშათ. ამათთვის შეუსწავლინებია ძვირფასი მცენარის მოყვანა და მისგან ჩაის კეთება.

როგორც ჩანს, ბათუმის მაზრისა და გურიის ადგილები, რომელნიც მიქცეული არიან ზღვისკენ, ჩაის მოსაყვანათ კარგები გამომდგარან. იმედია, თვით გურულები და სხვა ჩვენი ქართველები, რომელნიც ზღვის პირათ ცხოვრებენ, არ დააყოვნებენ ჩაის ხის მოყვანას და მისი მოვლით საკუთარი კეთილმდგომარეობის წინ წაყენებას.

***

წელს სტავროპოლის სემინარიაში სწავლობდა 11 ქართველი, რომელთაგან ოთხმა: კ. არველაძემ, ილ. ოქროპირიძემ, ს. ჭელიძემ და ნ. სულხანოვმა სწავლა დაამთავრეს, დანარჩენები კი შემდეგ კლასებში გადვიდენ.

***

ქუთაისის ოლქის სასამართლოში მომავალის წლის პირველ იანვარიდან აწესებენ ახალ თანამდებობას უფროსი ნოტარიუსის თანაშემწისას.

***

ს. არტაანში მტკვარზე უნდა გაკეთდეს რკინის ხიდი მთავრობის ხარჯით და ახლა რომ ხის ხიდია, ის უნდა გადაეცეს ადგილობრივ გზის სამინისტროს დაწესებულებას.

***

ამ თვის 26-ს თფილისის გუბერნატორის სადგომში მოხდა გუბერნიის საქალაქო რჩევის სხდომა ამ წლის არჩევანების განსახილველათ. როგორც ვიცით, ზოგიერთმა ამომრჩეველებმა, მაგალ. ალაპიევმა, სობენევსკიმ და სხვებმა საჩივარი შეიტანეს გუბერნიის საქალაქო დაწესებულებაში, რომ წრეევანდელი არჩევანები უკანონოთ მოხდა. გუბერნიის საქალაქო რჩევამ არ შეიწყნარა ეს საჩივრები და წრეევანდელი არჩევანები დაამტკიცა.

***

ხელმწიფე იმპერატორმა ცალკე წერილით მოიპატიჟა ამ ზაფხულს საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ფელიქსფორი ხელმწიფის აგარაკზე პეტერგოფს. ფელიქსფორი მოვა რუსეთს აგვისტოს თვეში, სახელდობ პეტერბურგში შეავა მარიამობისოვის 11-ს და დარჩება რუსეთში მხოლოთ სამი დღე.

***

გერმანიის იმპერატორი, ვილჰელმი, თავისი მეუღლით ეწვევა ხელმწიფე იმპერატორს რუსეთს მკათათვეში. ბძანებაა გამოცემული, რომ გერმანიის იმპერატორს უნდა იახლონ ღენ.-ადუტ. გრაფი მუსინ-პუშკინი, სვიტის ღენერალი უკანათლებულესი თავადი გალიცინი და ფლიგელ ადიუტანტი ნეპოკოიჩიცკი.

***

ქუთაისის წმიდა ნინოს სასწავლებელში კურსი დაუსრულებია ოქროს მენდლით ნანეიშვილის ქალს, რომელიც ემზადება თურმე პეტერბურგს უმაღლეს ქალთა სასწავლებელში შესასვლელათ.

***

შორაპნის მაზრის, საჩხერის განყოფილებაში, მოფენილია სოფლებში საქონლის ავათმყოფობა—თურქული. ხარს და ძროხას უსივდება ყბა და ჩლიქები. ამ სატკივრით მრავალი საქონელი იხოცება და პატრონი კი არავინ არის. საჩხერის საქონლის ექიმი მეტათ უყურადღებოთ ტოვებს სოფლებს.

***

ქართულ დრამატულ საზოგადოებას გამგეობას ამოურჩევია თავმჯდომარეთ თ. ვახვახიშვილი, თანაშემწეთ გ. ლაშხიშვილი და მდივნათ თ. კიტა აბაშიძე.

*
* *

ქუთაისიდან გვატყობინებენ, რომ ქალაქის საბჭომ გადაწყვიტა მოიწვიოს მსურველნი ცხენის რკინის გზის გასაკეთებლათ. მადლობა ღმერთს, რომ ბოლოს ქალაქის მეთაურნი დარწმუნებულან, რომ თვითონ არ შეძლებიათ ცხენის რკინის გზის გაკეთება. როგორც ვიცით, 1892 წელს გ. წერეთელმა მისცა ქუთაისის ქალაქის თავს წინადადება ცხენის რკინის გზის გაკეთებაზე და ამ განზრახვით კიდეც წაიყვანა ქუთაისს ბ-ნი ი. ს. ყორღანოვი, მესაკუთრე ავჭალის ქუჩ. ცხენის რკინის გზისა, და მოალაპარაკა ქალაქის თავს. ი. ს. ყორღანოვი პირდებოდა ექვსი თვის განმაელობაში ცხენის რკინის გზის გამართვას ქ. ქუთაისს; მაგრამ ქალაქის თავმა ლ. ლოლუამ და ინტელიგენტ ხმოსნებმა მაშინ უარი განაცხადეს ამაზე და ქალაქის საბჭოსაც უარი ათქმევინეს ამ წინადადებაზე, ვითომ იმ განზრახვით, რომ ჩვენ თვითონ გავაკეთებთო. აქეთ ეცენ, იქით ეცენ, საქმე დაკარგეს, ოთხი წელი ტყუილათ გაატარეს და ამ ბოლოს დროს მაინც გამოუცხადებიათ: ჩვენ მაგის თავი არა გვაქვს და ვისაც გნებავდეთ, მობძანდით, გააკეთეთ ცხენის რკინის გზაო. აი, ამას ჰქვია ქუთაისის მეთაურების მოღვაწეობა. რაკი ქუთაისის მეთაურებმა უარი უყვეს ბბ-ნ გ. წერეთელის და ი. ს. ყორღანოვის წინა დადებას, მერე ბ-ნ ყორღანოვმა განჯაში გამართა ცხენის რკინის გზა; ქუთაისი კი დარჩა თავისი მეთაურების მეოხებით პირში ჩალა-გამოვლებული. ახლაც ვინ იცის, როდის ეღირსება ქუთაისს ცხენის რკინის გზა.

პროვინციის ვითარება.

(დაკვირვებანი გურიის ცხოვრებიდან).*)

ეკონომიური კრიზისი გურიაში. საზოგადოთ, როგორც ჩვენი ქვეყნის დანარჩენი ნაწილები, ისე გურიაც დღემდის მიწის მუშა კუთხეთ ითვლება. აქ მოჰყავთ უმეტეს ნაწილათ სიმინდი. მართალია ალაგ-ალაგ მცხოვრებთ რამდენიმეთ შეუმცირებიათ სიმინდის მოყვანა საყანე მიწების უქონელობის, თუ სხვა მიზეზების გამო და სხვა ჭირნახულის მოყვანა დაუწყიათ, როგორც, მაგ., თუთუნი, ღვინო, აბრეშუმი და ან სხვა-და-სხვა გვარი სავაჭროები გაუმართავთ, ზოგ ადგილას არაყის ხდაც გავრცელებულია, მაგრამ ყოველსავე ამას გურიის ეკონომიურ ცხოვრებაში მცირე ადგილი უჭირავს: დედა ბოძს გურიის ეკონომიური ცხოვრებისას შეადგენს, როგორც ვთქვით, სიმინდის წარმოება. როგორც წინეთ, ისე დღესაც გურიის მცხოვრებთა უმთავრესი საკვებავი მასალა სიმინდია. სიმინდსვე ხმარობენ შინაური ცხოველების საკვებავ მასალათ. ამას გარდა, ალებ-მიცემობაშიაც სიმინდს, როგორც სავაჭრო საქონელს პირველი ადგილი უჭირავს. უწინარეს-ყოვლისა სიმინდს თვით გურიაშივე აქვს ბაზარი. ამ ათი ოცი წლის წინეთ, როცა ჩვენში ფულით წარმოება ჯერ კიდევ არ დამკვიდრებულიყო, სიმინდი მხოლოთ შინაური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ მოჰყავდათ; სიმინდი თუ იშოვებოდა გასაყიდი იმ დროს, ეს მხოლოთ შინაურ ბაზარზე, ე. ი. გურიას მოჰყავდა სიმინდი გურიისავე მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ. შესაძლებელი იყო, რომ შემთხვევით გაეტანათ სიმინდი გურიიდან სხვა ქვეყანაში, მაგრამ ეს მხოლოთ მაშინ მოხდებოდა, როცა სიმინდის მოსავალი იმდენი იქნებოდა, რომ გურიის მოთხოვნილებას აღემატებოდა, რაც ძლიერ იშვიათათ უნდა მომხდარიყო. დღეს კი სულ სხვას ვხედავთ.

მართალია, სიმინდი დღესაც უმთავრესი სახმარი ნივთია თვით გურიაშივე როგორც წინეთ, მართალია აგრეთვე ისიც, რომ სიმინდის შინაური ბაზარი გურიაში ერთი ათათ მაინც გაიზარდა, თუ კიდევ მეტათ არა, ამ უკანასკნელი ოცი, თუ ოცდა-ათი წლის განმაელობაში, მაგრამ დღეს ეს შინაური ბაზარი გურიის სიმინდისთვის მხოლოთ წვეთია ზღვაში. ფულის მოთხოვნილებას, რომელიც დღეს ჩვენში ყველგან შესანიშნავი სისწრაფით იზრდება, შინაური ბაზარი ვერაფერს უშველის. რომ ის სავაჭრო ნივთები, რომლებიც დღეს ჩვენთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენენ სულ თუ არა, რამდენიმე ნაწილი მაინც ჩვენში კეთდებოდეს, იმ შემთხვევაში ფულისთვის გარეთ წასვლა, ან ნედლი მასალის გატანა სხვა ქვეყანაში იმდენათ აუცილებელი აღარ იქნებოდა ჩვენთვის. მაგრამ რას ვიზამთ, როცა ყველა ამ ნივთების მოსაპოებლათ ნაღდი ფული უნდა გამოვიღოთ. ფულითვე უნდა გასწორდეს აგრეთვე ყოველგვარი გადასახადი. ახლა ვიკითხოთ: საიდან უნდა გაჩნდეს ეს ფული ჩვენ ხელში? ტყუილა პირში იგი ხომ არავის ჩაუვარდება? პრაქტიკულათ ჩვენმა ხალხმა ეს საკითხი ასე გადაწყვიტა: მან მიჰყო ხელი სიმინდის მოყვანას არა მარტო ოჯახის და შინაური ბაზრის დასაკმაყოფილებლათ, არამედ უმეტესათ საგარეო ბაზრისთვის, ე. ი. იმ ქვეყნებისთვის, საიდანაც იგი ღებულობს ფაბრიკების და

*) იხ. „კვალი“ № 26.

ქარხნების ნაწარმოებს. საზოგადოთ ცნობილია, რომ ფაბრიკების და ქარხნების ქვეყნებს მუდამ ესაჭიროებათ საკვებავი მასალა.

იმ ოკეანეს, რომელსაც ეკონომიურ ენაზე მსოფლიო ბაზარი ჰქვია, ჩვენი გურიაც უმატებდა ერთ წვეთს თავისი ნაწარმოებით (სიმინდით), და ეს ერთი წვეთი ჩვენი პატარა კუთხ სთვის გვარიანი ლუკმა იყო ხოლმე. გურიაში სიმინდის მაზანდა, როგორც ყოველგვარი სავაჭრო ნივთისა, რომელიც მსოფლიო ბაზარზეა გატანილი, ამ ოც-დაათი წლის განმავლობაში ყოველთვის ერთ დონეზე არ ყოფილა გაჩერებული. მისი აწევ-დაწევის მაზანდა გამოიხატებოდა: 60—100 კაპ. ფუთზე. მაგრამ გურიაში დღეს ყველას კარგათ ახსოვს იმისთანა შემთხვევები, როცა ერთი ფუთი სიმინდის ფასი 120 – 140 კაპეიკამდის ადიოდა. ხოლო თუ სამი აბაზიდან ქვეით დაიწევდა სიმინდის ფასი, თუნდ ეს დაწევა სულ მცირე ყოფილიყო, მაშინ ამბობდენ, რომ სიმინდს გასავალი აღარ აქვსო; ეს ძლიერ იშვიათათ მოხდებოდა; ორთა-შუა რიცხვით ფუთი სიმინდი გადიოდა გურიაში ამ რამდენისამე წლის წინეთ 70 კაპ. თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ წინეთ გურიაში საყანე მიწები უფრო ადვილი საშოვარი იყო და ყანის კარგი მოსავალი უფრო ხშირი, ეს ფასი შრომასაც აჯილდოებდა და უმეტეს შემთხვევაში ცოტა მოგებასაც აძლევდა სიმინდის გამყიდველს. ამას გარდა, რადგანაც სიმინდის მოყვანას დაჩვეულია ხალხი და მისი მოვლა-პატრონობაც ტეხნიკურათ ძლიერ მარტივია, სიმინდის მოყვანაც გურიაში შესამჩნევათ გაძლიერდა. მერეები [1]) დაბლობები, ზეგნები [2]) და სხვა მოიფინენ სიმინდის ყანებით. ამასობაში სიმინდის ფასმაც დაიწყო ძირს დაწევა: ჯერ ჩამოვიდა 50 კაპეიკზე, შემდეგ — 45 – 40 კაპ. სიმინდის მაზანდის დავარდნა პირველათ არ იყო ისე საგრძნობელი, როგორც შარშან და წელს, როცა ფუთ სიმინდის ფასს საგარეო ბაზარზე, შეადგენს მხოლოთ 20 – 25 კაპეიკი. მართალია, თვით გურიაში, ე. ი. შინაურ ბაზარზე, ფუთი სიმინდი დღესაც ალაგ-ალაგ 30 — 35 კაპეიკათაც იყიდება, მაგრამ საქმე ის არის, რომ დღეს შინაური ბაზარი გურიის სიმინდისთვის სწორეთ წვეთი ყოფილა ზღვაში, ვინაიდან იგი სიმინდის მაზანდას საგარეო ბაზარზე თითქმის ერთ მეოთხედ კაპეიკზედაც ვერ შეცვლის. მე არ შემიძლია დანამდვილებით აღვნიშნო აქ რაოდენობა იმ სიმინდისა, რომელიც საზღვარგარეთ უნდა გატანილიყო, რომ საგარეო ბაზარზე მისი ფასი ამ ზომამდე არ იყოს დაცემული. საქმე ის არის, რომ დღეს გურიაში თითქმის ყველა ყანის მუშა გრძნობს, რომ აბაზათ, თუ ხუთ შაურათ ფუთი სიმინდის გაყიდვა და პირდაპირ მისი წყალში გადაყრა ერთი და იგივეა. თავის დროზე ციფრებით მე დავამტკიცებ, რომ ჩვენში დღეს 20 – 25 კაპეიკათ ფუთი სიმინდის გაყიდვა არა თუ არავითარ სარგებელს არ აძლევს გამყიდველს, არამედ არც მის შრომას აჯილდოვებს ნახევრათ მაინც; შრომას კიდევ ჯანი გავარდეს, ხარჯს რომ ასწორებდეს. აი, ამას ჰქვია კრიზისი. საქონელი დამზადებულია და გასავალი აღარსაით არის, და რომ კიდეც გასაღდეს, ზარალის მეტს მაინც არაფერს აძლევს გამყიდველს!

პროვინციელი.

(შემდეგი იქნება).

---

[1]) მერე — დამუშავებული მთის ფერდი (ძველი სიტყვაა).

[2]) ზეგანი — ვაკე გორა (ესეც ძველი სიტყვაა).

„კვალის“ კორესპონდენცია.

ნად. განჯა. პირველ იენისიდან განჯის სადგურის მახლობლათ გაიხსნა მაღაზია, სახელდობ: „სავაჭრო მაღაზია რკინის გზის მოსამსახურეთა საზოგადოებისა“. სიმართლე მოითხოვს აღვიაროთ, რომ ეს მაღაზია ჯერ-ჯერობით თავის დანიშნულებას სინიდისიანათ ასრულებს, თუ რომ იმავე მაღაზიის რომელიმე ვაჭბატონმა არ გაისვა ხელი, როგორც იტყვიან: „მარცხენა ჯიბისკენ“...

22 ამ თვეს შუაღამის ორი საათი იქნებოდა, რომ განჯის სადგურზე გაისმა ხმა: „დააქციეს, მოჰკლეს, მოჰკლესო“... რამდენისამე წამის განმავლობაში, ზემო მოხსენებულ მაღაზიასთან, მოიყარა თავი ხალხის გროვამ და ჩოჩქოლი გაჰქონდა: მაღაზიის გვერდზე გაშეშებულნი, გაფითრებულნი და ენა ჩავარდნილნი იდგენ: მაღაზიის უფროსი მმართველი ბ-ნი კონ—კოვი და კიდევ ორი მოსამსახურე; ოთახის ფანჯრები ჩამტვრეული იყო და რამოდენსამე ალაგას ტყვიებით დახვრეტილი. პოლიციის ბოქაულებს ტყვიები აეკრიფათ და „პროტოკოლს“ ადგენდენ. ხალხის კითხვაზე ერთმა მაღაზიის მოსამსახურეთაგანმა ძლივ-ძლივობით ამოილუღლუღა: „შუაგულ ძილში ვიყავით, რომ მოგვესმა თოფის ხმა; მე და ჩემმა უფროსმა დავაპირეთ ოთახიდან გამოვარდნა, მაგრამ ტყვიების ზუილი გაისმა ფანჯრებზეო“. ამის მეტი არა უთქვამს-რა. როგორც შემდეგში შევიტყვეთ, რამდენსამე ცუდ კაცს, ეს მეორეთ

განუზრახავთ მაღაზიის განადგურება იმ მიზეზის მიხედვით, რომ საუგურზე არსებულ „ლავოჩკებისთვის“ მაღაზიას ზარალი მოაქვსო. „ეს ლავოჩკები“ სომხების უმრავლესობას უჭირავთ. საკვირველია ღმერთმანი! რუსულ-ქართული გაზეთები თითქმის ყოველ დღე გვაუწყებენ განჯაში ჩადენილ ავაზაკურ ამბებს და ჯერ ერთხელაც არ ამომიკითხავს გაზეთებიდან და არც ისე გამიგონია, რომ ეს-და-ეს ცუდი კაცი შეიპყრეს და სასჯელს მისცესო. ნეტა პოლიცია რას აკეთებს? რის მაქნისია, თუ თავის დანიშნულებას არ აასრულებს?

ერ. გუნძუხაძე.

*
* *

ფოთი. დიდი მადლობის ღირსნი არიან თ. ა. ბ. მიქელაძე, ბ. მ. მოსეშვილი, რომლებმაც დიდი დახმარება გაგვიწიეს ქვა-ნახშირის ამხანაგობათა შორის, რომლის მწარმოებელიც ბ. ნოე მგალობლიშვილია. საქმე, აი, როგორ იყო: აქამდის გემების დატვირთვა ჰქონდათ ხოლმე აღებული მუშა თათრებს, ზემოხსენებულ პირთა დახმარებით; ეს საქმე ჩვენ, გურულ მუშებს, გადმოგვეცეა. ძლიერ აღელვებულები იყვენ ჩვენი მეტოქენი, გურულები თავის დრომდე ვერ მოახერხებენ გემების დატვირთვასო, მაგრამ ჩვენი მეცადინეობით ისე მოვასწარით, რომ გემი ოთხი დღით უფრო ადრე გავისტუმრეთ თათრებზე. იმედი გვაქვს, ამ მაგალითის დანახვით სხვა ამხანაგობებიც მიბაძვენ ზემოხსენებულ ამხანაგობას და აასრულებენ ქართულ ანდაზას: „ჩემი ლუკმა წავარდესო, ჩემ ჯამშივე ჩავარდესო“.

დუაბზუველი ხელოსანი.

*
* *

დაბა სურამი. დიდ გაჭირებაში არიან ჩაცვინულნი ჩვენი სურამის ქართველობა ეკლესიის სიპატარავის გამო. ისინი იძულებული არიან, რომ არ მოვიდენ ეკლესიაში, განსაკუთრებით მაშინ, როცა ან თოვლი, ან ქარიშხალი და ან წვიმაა; თუ ვინიცობაა უეჭველათ წავა ვინმე ეკლესიაში, უნდა ადრე მივიდეს, რომ ყველას შეასწროს, თუ შეასწრო ხალხმა, თქვენი მტერი, რომ მან თავბედი იწყევლოს!.. პირველათ სიცივით იკანკალებს და მერე გაოცებს დამსწრე ხალხის ყაყანი და უმგზავსო ლანძღვა-გინება, მეტადრე კვირა უქმე დღეებში.

დღეს სურამ-ს ქართველობა ადგილობრივი მცხოვრები და დროებით მცხოვრები არის არა ნაკლები ორასი კომლისა, თუ იმასაც დაუმატებთ, რომ ხაშურის რკინის გზის მოსამსახურე ხალხიც სურამში მოდიან, როგორც ქართველები, აგრეთვე რუსებიც, რადგანაც ხაშურში ეკლესია არა აქვთ, ადვილად დამერწმუნებით, თუ რანაირ მდგომარეობაში უნდა იყვეს აქაური ხალხი უეკლესიობის გამო; თუ მაგოდენა მცხოვრებია, იკითხავთ, რაღა აბრკოლებს ეკლესიის გაკეთებას? უმთავრესი დამაბრკოლებელი მიზეზები ის არის, რომ კარგი მოთავე და საქმის წინ გამძღოლი არა გვყავს, თვარა, დამერწმუნეთ, რომ იქ, სადაც ახლა პატარა ეკლესიაა, ერთის წლის განმავლობაში შვენიერი სობორო აგვიშენდებოდა, მაგრამ სამწუხაროთ ჩვენდა ჯერ არავინ ჩანს ჩვენში, რომ ამ კეთილ საქმეს ხელი მოჰკიდოს!..

ამ რვა წლის წინეთ ქ-ნ ეკატირინე მუატისამ საზოგადოების თანადასწრებით შეადგინა სია, რომელზედაც უმალ თითონ მოაწერა ხელი და ორმოცდა ათი თუმანი აღუთქვა. იმ დღეს, რა დღესაც ხელის-მოწერა გამოაცხადეს, ორას თუმნამდის შემომწირველი აღმოჩნდა, უეჭველია დღითი-დღე ხელისმომწერიც იმატებდა და დღეს სურამლებს ეკლესია გვექნებოდა, მაგრამ საჰწუხაროთ ჩვენდა, ჩვენ, ქართველობას, ერთი ცუდი ზნე გვჭირს, ჯერ პირველში ბურბუშელასავით ავენთებით და, შემდეგ კი მივიძინებთ, თითქოს ჩვენ ჩვენი მოვალეობა კიდეც შევასრულეთ. აი, ჩვენც სურამელმა ქართველობამაც არ ვუმტყუნეთ ამ ჩვენთან თანაშეზრდილს ჩვეულებას და იმ სიამ, რომლითაც ეკლესიის გაკეთებას ვაპირებდით: „წიაღსა-შინა აბრაამისა განისვენა“. უნდა ვთქვა, რომ აქაური ქართველები გულით მოწადინებულნი არიან ამ საქმის განხორციელებას; ყველა გაიძახის: „ოღონდ ერთი ხელი მოჰკიდოს ვინმე, ურიის ვალს ავიღებ და ხალხში კი არ გამოვწყდებიო“. მაგრამ როგორც ზევითაც მოვიხსენიეთ მოთავეა საჭირო და, მოთავეობას კი არავინ კისრულობს. კარგი იქნებოდა, რომ გამოჩნდებოდეს იმისთანა კაცი, რომ, ამ ჩვენთვის ფრიად საჭირო საქმეს ხელი მოჰკიდოს და უწინამძღვროს ხალხს.

ვთხოვთ, როგორც ქართულ, აგრეთვე რუსულ გაზეთებსაც, ეს წერილი დაგვიბეჭდონ, იქნება გამოჩნდეს ვინმე იმისთანა კეთილი კაცი, რომ ამ საქმის მეთაურობა იკისროს.

„ლიხის მთიელი“.

*
* *

ს. ჭიათურა. ორი წელიწადია, რაც ჭიათურელებს სამკითხველო გვაქვს და ამ ორი წლის განმავლობაში არავითარი წარმატება არ ღირსებია, წარმატებას ვინ ინაღვლის, თუ უარესი უბედურება არ ეწვია, სულ არ დაიხურა, „სალათის ძილით“ არ დაიძინა. მართალია ჭიათურელები ძალიან ცუდ მდგომარეო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაში არიან შავი ქვის ფასის დაცემის გამო, მაგრამ არც ისე უჭირთ, რომ ერთი სამკითხველო ვერ შეინახონ; მგონია, ნარდის თამაშს „ჟურნალ გაზეთების“ კითხვა ჯობდეს. ესეც რომ არ იყოს, ისიც დიდი საქმეა, რომ ბევრ მუშა ხალხს, რომელთაც ცოტა წერა-კითხვა ესმისთ, გააქვსთ სამკითხველოდან წიგნები და კვირა უქმე დღეს, ცუდაობის მაგიერ, წიგნის კითხვით ირთობენ თავს. მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ წიგნების რიცხვი ძრიელ მცირეა; უმეტესათ მოთხრობის წიგნები არ მოიპოვება და მოთხოვნილება კი დიდია.

სხვათა შორის ერთი ნაკლულევანებაცა აქვს ჩვენ სამკითხველოს: გარეშე პირს რომ წიგნები მიაქვს, არავითარ ბეს არ ატოვებინებენ, რის გამოც ბევრი წიგნები იკარგება. სასურველია ამას ყურადღება მიექცეს. დასასრულ უნდა მოგახსენოთ, როდესაც სამკითხველო გაიხსნა ორმოცამდე მეტი წევრი ჩაეწერა, რომლებმაც თავიანთი ხვედრი ფული პირველათ სრულათ შემოიტანეს. დღეს როგორც ვიცით, სამკითხველოს ფული აღარ აქვს, რის გამოც უნდა დაიხუროსო, მოვაგონებთ ჭიათურის საზოგადოებას, რომ ასე გულ-გრილათ ნუ მოექცევიან ამ საქმეს; მისცენ შემწეობა სამკითხველოს და გადაარჩინონ დახურვას.

ს. თ—რია.

მ უ ზ ი ს რ ჩ ე ვ ა.

კვლავ მესტუმრა ჩემი მუზა;
მწყრალი იყო და პირ ქუში.
„რა გალექსებს“,—ასე მითხრა,
„როდესაც ხარ მხოლოთ მუშა“?

—

„მარტო წერით და ლექსობით
რას გახდებით, რა იქნება?
აწ კი დროა, რომ ისწავლოთ
პრაქტიკული მოქმედება“.

—

„რათ არ იცით, რომ ყველა დროს
სწავლა უნდა და შეგნება
და დროზედვე შესაფერი
იარაღის შეფარდება“?

—

„რა დრო არის,—ხომ კი ხედავ?
უფულობით სული გვხდება...
ფულიან კაცს ყველა აქებს,
უფულო კი ვერსად ჩნდება“!

—

„დიდი კაცი, დიდი გვარი
ფულმა მიწას დაანარცხა,
მედიდური და ამაყი
საარაკოთ დაამარცხა“!

—

„გაბატონდა, დაჯდა ტახტზე,
მოიკრიბა ღონე, ძალი;
თავის მსხვერპლებს შემოავლო
უშრეტელი ცეცხლის ალი“!

—

„ვერ დარწმუნდით, რომ აღარ ჭრის
ძველებური ხმალი, ფარი?
დროა, დროა, რომ მოძებნოთ
საამდროვო შესაფერი“!

—

„პოეტებსაც ამას ვურჩევ,
რომ მომართონ თავის ჩანგი,
გამოცვალონ, დროს უფარდონ
თავის კილო, თავის ჰანგი“.

—

„შენ კი, ჩემო მეგობარო,
მგონსნათ თავი არ ჩათვალო,
არ იფიქრო, მე ოდესმე
ლექსის წერა დაგავალო“!

—

კვლავ წავიდა ჩემი მუზა
უცნაური და შავ პირი!
დამჩაგრა და შემარცხვინა
ამას ჩივა, ამას ვტირი...

ფანდი.

წერილები ინგლისიდან.

II. *)

ინგლისელი შინ.

არ არის ერი, რომელზედაც ისეთი ყალბი წარმოდგენა ჰქონდეთ, როგორც ინგლისის ერზე. მას სჯიან იმ თითო-ოროლა ინგლი-

*) იხ. კვალი № 25.

სელით, რომელნიც ევროპაში შეხვდებათ ხოლმე. დ მართლაც ინგლისელი გარეთ და ინგლისელი შინ სულ სხვა-და-სხვა კაცია. მათ შორის დიდი გარჩევაა. რადგან ის თავის თავს პირველი ხალხის შვილათ თვლის, ქცევა და მოქმედებაც შესაფერი აქვს. ბერლინში ის იქცევა, როგორც ლონდონელი და არა, როგორც ბერლინელი. ის დარწმუნებულია, რომ ინგლისური ყოფა-ქცევა საუკეთესოა და თუ სხვები მას არ ბაძვენ, მხოლოთ იმიტომ რომ კარგი რამის შეთვისების ნიჭი არ აქვთ. ის ევროპიელთ, მათ ქვეყანაში მაღალი თვალით დაჰყურებს, ვითომ ეუბნებაო: მეცოდები, რომ დიდი ბრიტანიელი არა ხარო. არასოდეს არ დამავიწყდება ერთი ინგლისელის ქცევა ვისბადენში. ვზივართ ერთათ ბაღში. ჩვენ წინ ჩაიარა ერთმა საერთო ნაცნობმა მანდილოსანმა. მე წამოვდექი და თავი დავუკარი, ჩემი მეგობარი ინგლისელი კი ფეხი ფეხზე გადადებული არც კი განძრეულა, დამჯდარმა მისცა სალამი. ცოტა ხანს შემდეგ ჩამოიარა მეორე მანდილოსანმა, ისეთივე ნაცნობი იყო. როგორც პირველი. ახლა კი იგი წამოხტა და დიდი მოწიწებით თავი დაუკრა.—რატომ პირველს არ წამოუდექით და მეორეს კი? ვკითხე მე. — რატომ? განა არ იცით, რომ მეორე ინგლისელია!—აი, რა განსხვავებას ხედავს ის ინგლისელსა და არა ინგლისელს შორის. გაგონილა ასეთი თავ-ხედობა, შემომჩივლა ერთხელ ჟენეველმა—მოდიან ინგლისიდან ჩვენში და ჩვენვე გვიბრიყვებენ. აი, მაგალითათ თავიანთი სამოგზაურო ტანისამოსით, დალურსმული ჩექმებით შემოდიან ჩვენ თეატრში, ჯდებიან პირველ ალაგებზე და, კიდევ ფეხებსაც მომაღლოთ გადმოაწყობენ; არც რიგიანი ტანისამოსი, არც ზრდილობიანი ქცევა, არაფერი.

ინგლისში აპირებთ? შემცდარხართ, ინგლისელი ისეთი გულ-ქვა და მიუკარებელია, რომ იქ ერთ დღესაც ვერ გაძლებთ — მითხრა ერთმა გერმანელმა.

ამაყი, გაუთლელი, გულ-ცივი, თავ-აგდებული, აი, რა მხრით არის ინგლისელი ევროპაში ცნობილი.

თუ კი ინგლისელი ასეთია უცხოეთში, ის სამაგიეროთ სულ სხვაა თავის ქვეყანაში. როგორც კი ფეხს შედგამს თავის კუნძულზე, ერთიანათ იცვლება. ის თავის „შინ“ არის და, აბა, რა აქვს სამაყო თავისიანებში. მთელი მისი ნაციონალური ხასიათი აქ პოულობს ნამდვილ კალაპოტს, შესაფერ სარბიელს, თავის საზოგადოებას. ის თავის თავს აღარ აცალკევებს სხვებისაგან. პირიქით, ის ცდილობს ყველას დაუახლოვდეს, გაეცნას, ძმა-ამხანაგი შეიქმნეს. უცხოელს აქ კი აღარ უყურებს, როგორც ადამის უკანონო შვილს. ის მის წინაშე თავმდაბალიც არის. პატივისმცემელიც და მაქებელიც.

ვისაც ერის ცნობა სურს, მან იგი უეჭველათ მის ქვეყანაში უნდა ნახოს. სანამ მხოლოთ თითო-ოროლა უცხოელს იცნობს, მას არავითარი წარმოდგენა არ აქვს იმ ხალხზე, რომელსაც მისი ნაცნობნი ეკუთვნიან. ან და თუ აქვს რაიმე წარმოდგენა, უთუოთ ყალბი, გადაბრუნებული. შედით თვით ერის შუაგულში, ამოისუნთქეთ მისი საზოგადო ატმოსფერა, ნახეთ მისი ცხოვრების წყობილება, მათი ერთმანერთ შორის დამოკიდებულება და, აი, მხოლოთ მაშინ შეგიძლიათ თქვათ: ამ ხალხს ვიცნობო.

არის ინგლისელი გულცივი და მიუკარებელი? სრულიადაც არა, პირიქით, არც ერთი ევროპიელი არ არის ისეთი გულჩვილი, მგრძნობიარე და სათნო, როგორც ინგლისელი; პირველ ყოვლისა ის სოციალური ცხოველია: მიუკარებლობა, კარჩაკეტილობა, თავის თავისთვის ცხოვრება მან არ იცის; ის არ არის ისეთი წვრილმანი, როგორც გერმანელი და არც ისე მრავალ-სიტყვიანი, როგორც ფრანგი. ის არასოდეს არ იკადრებს წვრილ გროშებზე ლაპარაკს, არასოდეს თავს არ გიჩვენებს, როგორც ხელ-მომჭირნე, ძუნწი. ის ცდილობს იყოს ხელ-გაშლილი და სტუმართმოყვარე. მისი გული უფრო კეთილია, ვინემ მისი სიტყვები. ტრაბახობა, თავის ქება არ უყვარს, ამასვე მოელის თქვენგანაც. ვინც ბევრს ლაპარაკობს, ის ბევრსაც ტყუისო,—ფიქრობს ინგლისელი. ხოლო მას არაფერი ისე არ ეზიზღება, როგორც ტყუილი. გინდ გითქვამს მისთვის ცრუ და გინდ თოფი გიკრავს, სულ ერთია; ამაზე მეტი შეურაცხყოფა მისთვის არ არსებობს. ყველა ინგლისელი დარწმუნებულია, რომ თქვენ მართალს ამბობთ. ის, რაც ჩვენში „პირობის ძალით“ და თამასუქებით კეთდება, აქ უბრალო სიტყვის მიცემით. ნუ გეშინიათ არ გადათქვამს: არ მითქვამს, ან და არ მომიც მოგიციაო. არა ერთი პოლიტიკური მოღვაწე გამოეთხოვება თავის მოღვაწეობას, მხოლოთ-მიტომ, თუ ერთ თავის სიტყვაში ვისმე უსაბუთო ბრალი დაადვა. გაზეთმა ორ სამ ხელ ტყვილი ამბავი რომ დაბეჭდოს, მერე მას აღარავინ წაიკითხავს. გულ-წრფელობა ინგლისელის ძირითადი თვისებაა. ამაზე არის აშენებული სახელმწიფოს გადასახადი. ინგლისელი განაცხადებს ამდენი შემოსავალი მაქვს და ამის დაგვარათ შეაწერენ გადასახადს (incometax). მთავრობა დარწმუნებულია, რომ ტყუილ ცნობას არავინ მისცემს. ამ საკვირველ ქვეყანაში სიტყვას ციფრზე მეტი ძალა აქვს. ერთი უხერხული ლაპარაკი იმდენ მითქმა-მოთქმას გამოიწვევს, რამდენსაც ჩვენში კაცის კვლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერძნის ქალი.

ამით გაღვივლებულია საზოგადო დამოკიდებულება, საქმეწიფო მეხანიზმი და სამსჯავრო მსვლელობა.

ამის შედეგია ინგლისელის პირდაპირობა და უშიშრობა. მას, რაც სათქმელი აქვს, უეჭველათ იტყვის, სადაც და ვის წინაშეც უნდა იყოს. თუ ერთხელ დარწმუნდა ეს ასე ჯობსო, უთუოთ გააკეთებს. თუ კი ერთ გზას დაადგა, იქიდან აღარ გადაუხვევს, მიდის და მიდის ბოლომდე. დაბრკოლებას ათასი რომ შეხვდეს, ათასსავე დაანგრევს და თავისუფალ სავალ გზას იშოვის. დაბრკოლება მას ამხნევებს და არა აძაბუნებს. სილაჩრე, მელა-ძუობა, ორპირობა მისთვის არ დაწერილა.

ამასთანავე ინგლისელი თავ-დაჭერილი, მომთმენია. მან კარგათ იცის, რომ თუ ერთხელ აიშვა, მოთმინებიდან გამოვიდა, გამხეცდება, აღარაფერი დაუმაგრდება. მისი ბუნება, მიუხედავათ მისი განათლებისა მოუხეშავი, პრიმიტიულია. ამიტომ ის ყოველთვის ცდილობს მოთმინება არ დაჰკარგოს; ეს აქ უმაღლესათ შემუშავებულია. ათასი კაცი რომ ერთათ იყოს, ერთ ხმა მაღალ ლაპარაკს ვერ გაიგონებთ. ოჯახში ბავშმა რაც უნდა დააშავოს, მამა ხმას არ აიმაღლებს. ქუჩაზე ჩხუბს, აურზაურს ვერ ნახავთ. ლონდონის დიდ ქუჩებზე მილიონი ხალხი დადის და რომ ეტლები არ გრიალებდენ სამარისებური სიჩუმე იქნებოდა. ომნიბუსებში, ვაგონებში ფურჩულს შეამჩნევთ, მეტს არასფერს. უფრო ხშირათ კი ჩუმათ არიან, თავიანთთვის სხედან, ზოგი გაზეთს ჩაცქერის, ზოგი კიდევ ფიქრობს, ფულის მოგების პლანებს აწყობს. არც ძილი, არც ყბედობა.

მთვრალი ინგლისელი კი სხვაა. ის ჩვეულებრივ თავ-დაჭერილობისაგან თავისუფლდება და თვის ბუნებას სრულ თავისუფლებას აძლევს. ცოტა მიზეზი საკმარისია, რომ გაგულისდეს, ყველაფერს ხელი შეახოს. ასეთ მთვრალს „პოლისმენი“ (პოლიციელი) ქუჩაზე არ აყენებს და ხშირათ მათ შორის იმართება ბრძოლა. საჭიროა რამდენიმე ზორბა „პოლისმენი“, რომ გაშმაგებული მოქალაქე თავის ალაგას წაიყვანონ; ინგლისელის ფარ-ხმალი მუშტია, სადაც კი დაჰკრავს გაიტანს. კრივი ახლა აკძალულია. მუშტის ხმარება იშვიათათ ხვდებათ, მაგრამ ყველა ინგლისელი ჭაბუკი, არისტოკრატია ის თუ მუშა, მუშტის ხმარებას—box -სწავლობს, ეს მისი პირველი „სატლეტო“ გაკვეთილია. ინგლისის ხალხი იშვიათათ აჯანყდება, ხოლო თუ აჯანყდა, მშვიდობით! ყველაფერი დააკვევს, ყველაფერს დაანგრევს, დაამსხვრევს და თავისას გაიტანს. პოლიცია, მთავრობა ფეხებზე ჰკიდია. ამისათვის არის რომ აქ ხმა ერისა, ხმა ღვთისაა. ხალხის სურვილს ვერაფერი დაუდგება წინ.

ზრდილია ინგლისელი? ჯერ ერთი მითხარით, რას უწოდებთ თქვენ ზრდილობას? ეს თუ კომპლიმენტებში და ქება-დიდებაში მდგომარეობს, მაშინ ის უზრდელია მას არ რწამს არც ერთი და არც მეორე. ხოლო თუ ზრდილობა რიგიან ყოფაქცევაში, აწონილ სიტყვა-პასუხში, ერთმანერთის პატივისცემაში და წესიერებაში მდგომარეობს, მაშინ ის ზრდილია. მას არ უყვარს წარა-მარა ბოდიშის მოხდა, მაგიერათ არც საბოდიშო რამის ჩადენა. ხელი რომ ხელზე წაგკრას, ფრანგივით ქუდს არ მოგიხდის „მომიტევეო“, არამედ თავისთვის ჩაივლის. ინგლისელს ზრდილობა სულ სხვანაირათ ესმის, ვინემ მის მეზობელ ხალხთ. მისთვის უზრდელობაა: ტყუილი, ყალბი ქაღალდის შედგენა, საზოგადო საქმის შელახვა, სხვისი საკუთრების დაჩემება, სხვისი ოჯახის გაუპატიურება და სხ. ერთი სიტყვით ის იცნობს და იცავს საზოგადო ზნეობას. ხოლო ფეხი ფეხზე დაგადვი, კლავი კლავს მოხვდა, შესხმა ვერ გითხარი, კომპლიმენტი დამავიწყდა, ქუდი თავზე დამრჩა, პალტო მოხურული სალონში შემოვიდა და სხ. და სხ. აი, ეს არაფერი არ არის. არც ზრდილობაა და არც უზრდელობა, ე. ი. ყურადღების ღირსიც არ არისო. აი, როგორ აზროვნობს ინგლისელი.

ინგლისელის პატივისცემა, მეორისადმი სამაგალითოა, ის უცქერის ადამიანს, როგორც სრულ თავისუფალ არსებას, რომლის თავისუფლება მხოლოთ მეორის თავისუფლებით ისაზღვრება. მე რომ უფლება მომცა იმ მეარღნეს ქუჩაზე დაკვრა აეუკრძალავდი, უთხრა ახალგაზდა ვაჟმა მამას.—მადლობა ღმერთს, რომ ასეთი უფლება არ გაქვს, თორემ სიცოცხლეს გაგვიჭირებდი. რატომ შენ კი გაქვს უფლება ქაღალდის ჩხრეკით თავი ირჩინო და იმას კი თავის არღანით არა? ეს მზე ყველასთვის თანასწორათ ანათებს,—მიუგო ცხოვრებაში გამოცდილმა მამამ.

ინგლისელი მეტას მეტი გულკეთილია, ის ადვილათ შედის სხვის გაჭირებაში. დახმარება, ხელის შეწყობა, შეწევა, აი, რაზე ფიქრობს ის და ამას არა ცალიერი სიტყვებით, გაზეთების რახა-რუხით, არამედ საქმით, პრაქტიკული მოქმედებით: რა და ვის სასარგებლოთ არ იმართება აქ საზოგადოებები, არსდება ფონდები, გროვდება ფულები და სხ. სომხები, ბერძნები, ინდოელნი, კრეტელნი ყველა დაჩაგრულთა მოჭირისუფლეთ და მოტირლათ ინგლისელი დგება. დაჭრილ ბერძენთათვის ერთმა გაზეთმა შვიდ დღეს შვიდი ათასი ოქრო (ერთი ოქრო უდრის ერთ თუმანს) მოაგროვა. თქვენ იტყვით, ეს იმიტომ, რომ აქ ბევრი ფულიანი კაციაო. მაგრამ საქმეც იმაშია,

რომ ასეთ საქმეებისათვის ღარიბი უფრო იმატებს, ვინემ მდიდარი. ერთი ქალი წერდა რედაქციას: „სულ ათი შილინგი (შილინგი 50 კაპ.) მაქვს ოჯახში, ოთხი ბალღი მყავს სარჩენი, მაგრამ 5 შილინგს მაინც გიგზავნით იმ საცოდავ ბერძნების სასარგებლოთო“.

ინგლისელს რომ ჰკითხო, რატომ იწუხებ ასე თავს სხვისთვისო, მოგიგებს: „მეცოდვებაო“.

~~საზღვარ-გარეთელი.~~

~~(შემდეგი იქნება)~~

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ.

დ. კუდრიავსკი. როგორ ცხოვრებდენ ადამიანები ძველთ, თარგმანი ის. კვიცარიძისა; ფასი ხუთი შაური.

ᲩᲕᲔᲜ განათლებულ საზოგადოებას ჩვეია ათას გვარი შეუფერებელი აზრები. ხშირათ გვესმის, ვითომ განათლებულ პირს არ შეუძლია ყოველი თავისი აზრი „ხალხს“ გაუზიაროს, თითქო ხალხისთვის ეს საჭიროც არ არის. ჩვენ არ დავუწყებთ ძებნას, ამისთანა მდაბალი აზრის სათავეს მით უმეტეს რომ ამ აზრის მომდევართა რიცხვი დღითი დღე კლებულობს. ჭეშმარიტი ინტელიგენცია კი, როგორც ხალხის ღვიძლი შვილი, არამც თუ გაურბის ხალხს, პირიქით ყოველ ღონის-ძიებას ხმარობს, რომ იგი დაიახლოვოს, თავისი რწმენანი გულში ჩაუბეჭდოს და ამ გვარათ მოამზადოს ნიადაგი თავისი აზრების დასამკვიდრებლათ. ამ კულტურულ გზას, სხვათა შორის, შეუდგა დღეს „ახალი მკითხველიც“. კარგათ ვიცით, თუ რამდენათ გაჟღენთილია ჩვენი გონება სხვა-და-სხვა დახავსებული, მკვდარი აზრებით, ჩვეულებით. ამოძრავება ტვინისა, მისი გამოფხიზლება — დიდ ღვაწლათ უნდა ჩითვალოს. ამისთანა გამოფხიზლება შეუძლია, რასაკვირველია, არა იმ სთანა ცოდნას, რომელიც ცხოვრებას უკვერის დოლმატიკის თვალებით. ცხოვრება უნდა გვქონდეს წარმოდგენილი, როგორც ცვალებადი მოვლენა, რომლის ცვალებადობა — ექვემდებარება განსაზღვრულ კანონებს. ჩვენ კი დაბადებიდანვე ჩანერგილი გვაქვს ტვინში, რომ ადამიანი კი არ ვითარდებოდა და ვითარდება, არამედ ის, რომ მისი ისტორია არის ისტორია დაცემისა, გათახსირებისა. ამისთანა შეუსაბამო აზრის შერყევა, გაქარწყლება შეუძლია ყველაზე უფრო იმ მეცნიერების დარგს, რომელიც ცდილობს შეისწავლოს ადამიანის განვითარების ისტორია ყოველი მხრით, როგორც ქონებრივ, აგრეთვე გონებრივ და ზნეობრივ. ეს მეცნიერება არის კულტურის ისტორია. მდაბიოთ გადმოცემა ამ მეცნიერების დარგისა მეტის-მეტი ძნელია, თითქმის შეუძლებელი. მაგრამ ამავე დროს პოპულიარულ წიგნს შეუძლია გადმოგვცეს მხათ შემუშავებული ცოდნა. ამით ის აღძრავს ჩვენში სურვილს გავიგოთ, თუ საიდან და როგორ მიაღწია მეცნიერებამ ამა თუ იმ დასკვნამდის. ამ მხრით ბ. კუდრიავსკის წიგნი ერთი იშვიათთაგანია. მასში შეენიერათ არის გადმოცემული ადამიანის პირველდროინდელი ყოფა-ცხოვრება. მკაფიოთ არის გატარებული მთელ წიგნში დედა-აზრი, რომელიც შემდეგ სიტყვებში გამოიხატება: „ნივთიერი პირობანი ცხოვრებისა შეადგენენ ნიადაგს საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ ფორმებისა, გონებრივ ცხოვრებაში კი პოულობს თავის გამოხატვას, როგორც ქონებრივი, აგრეთვე საზოგადოებრივი მხარე ცხოვრებისა“.

აქ ჩვენ აღვნიშნავთ იმ წუნს, რომელიც კუდრიავსკის წიგნს ამას წინათ შენიშნა გაზ. „ივერიის“ ბიბლიოგრაფმა. საგულისხმო ის არის, რომ ბიბლიოგრაფმა ნაკლულევანებათ ის ჩათვალა, რაც ღირსებათ უნდა მივიჩინოთ. ბ. კუდრიავსკის წიგნშია ნათქვამი: „ყველაფრიდან ჩანს, რომ პირველ-ყოფილი ადამიანი ვერ იკმარებდა მარტო მცენარეულ საზრდოს. მისი აგებულობა ზოგჯერ ხორცსაც თხოულობდა“. ბ. ბიბლიოგრაფს ეს აზრი არ მოწონებია. მერე, აი, როგორ ცდილობს დაასაბუთოს თავისი აზრი? იმის მაგივრ, რომ ეთქვა რაიმე მოსაზრება, რატომ თუ ადამიანის აგებულობა არ მოითხოვს ხორცეულს, იგი ცდილობს აწეროს პირობანი, რომელნიც, მისი აზრით, აიძულებდენ ადამიანს ხორცის ჭამას და მერე კაცის ჭამასაც.

აქ ბიბლიოგრაფი სწორეთ დაბნეულია. მისი სჯა ერთ ნამცეცსაც არაფერს აკლებს კუდრიავსკის აზრს. საქმე იმაშია, რომ ყოველ მოვლენაში უნდა გავარჩიოთ ორი მომენტი: მიზეზი და პირობანი, ურომლისოთაც ეს თუ ის მოვლენა შეუძლებელია. იმის მიზეზი, რომ ადამიანი ხორცს ჭამს, არსებობს იმისავე ორგანიზმში, აგებულებაში. პირობა კი, რომელმაც იგი აიძულა ხორცეულობისთვის მიეყო კბილი, შეიძლება იყოს შიმშილი, ან სხვა რამ — ჩვენთვის ეს სულ ერთია. „ივერიის“ ბიბლიოგრაფს კი ჰგონია, რომ შიმშილი სწორეთ მიზეზია კაცის მჭამელობისა. მაშ აქედან ის დასკვნაც შეგვიძლია გამოვიყვანოთ, რომ თუ, მაგალითათ, ძროხას მოშიედა, შეიძლება იმან მეორე ძროხა შეჭამოს. სწორეთ რომ წარმოუდგენელია ეს, იმიტომ რომ ამისთვის ძროხის აგებულობა

არ არის მოწყობილი. აი, ბ. ბიბლიოგრაფო, რა უნდოდა ეთქვა კუდრიაესკის. საზოგადოთ, ბ. ბიბლიოგრაფი ძლიერ მოყვარულია დოგმატიური, „გადაჭრილი“ პასუხებისა. კუდრიაესკი ამბობს, რომ ყველგან ერთგვარი განვითარების წეს-რიგი არ ყოფილაო. ზოგ ადგილას ადამიანმა ჯერ მცენარეულობის მოჰყვანას მიჰყო ხელი და მერე ცხოველები მოაშინაურაო. ზოგან კი—ჯერ ცხოველები მოაშინაურა და მერე მცენარეულობის მოყვანას მიჰყო ხელიო. კუდრიაესკის ამით უნდოდა ეთქვა, რომ ადამიანის მოქმედების მიმართულება დამოკიდებული იყო იმ პირობებზე, რომელნიც მას გარს ერტყენ, იგი ისე იქცეოდა, სადაც რა უფრო ეხერხებოდაო.

ბ. ბიბლიოგრაფს კი უსათუოთ უნდა, რომ ჯერ მცენარეულობა მოეშენებია ადამიანს და მერე ცხოველების მოშინაურებისთვის მიეყო ხელი „ჩემის აზრით ასე უნდა იყოსო“. კარგი, ბატონო, თქვენი აზრით, მაგრამ თქვენ აზრს დასაბუთება არ უნდა?

სხვა აზრებიც ბ. ბიბლიოგრაფს დასაბუთებული არა აქვს საკმარისათ. მაგრამ ამის გარჩევა შორს წაგვიყვანს. მხოლოთ უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენ უკეთესი ადვილ გასაგები წიგნი ამ საგნის შესახებ არ ვიცით. ვისურვებთ, რომ ჩვენ საზოგადოებაში ეს სასარგებლო წიგნი, რაც შეიძლება, მალე გავრცელდეს.

ბ. ს—ძე.



ზოგიერთი ცუდი თვისებანი მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობის წარმოებაში. *)

ნუ თუ ამხანაგობას წიგნები არა აქვს, რომ განსაკუთრებით ჩაიწეროს ანგარიშები?! ანუ კიდევ... ვის ეკუთვნის გომეოპატიური აფთექა და სხვა—ამხანაგობას? კიდევ ქვეით: რას ნიშნავს საჭმელში გასული ხარჯი? განა მმართველობას, რომელიც ჯამაგირს ღებულობს, საჭმლის ხარჯიც საზოგადოებამ უნდა მისცეს? ვისია ეს ხარჯი ამიხსენით გეთაყვა!

მუშებს საჩუქრებიო, იწერებიან დაეთრებში, იწერებიან ოქმებში და იწერებიან ანგარიშებში. ეს კითხვა თავის თავათ საოცარია! ბატონებო! თუ მუშა ხელი გესაჭიროებათ დაიფასეთ მისი შრომა იმ დენათ მაინც, რამდენათაც თქვენ გიღირსთ და გადაწყვეტილი ჯამაგირით ამუშავეთ. საჩუქრები კი, თუ იმისთანა გულ-კეთილები ბძანდებით, მიეცით ხვედრი ჯამაგირის მიცემას შემდეგ. აი, ეს იქნება საჩუქარი; თვარა ის მუშები, ვისი ბედიც ზოგ ვაჟბატონების გულის ნებაზეა დამოკიდებული, ყოველთვის სატანჯველში იქნებიან; მოუბრუნდა X—ს გული—გაჩუქა, გაუბრუნდა X-ს გული—წაგართვა; მაშინ მუშას მეტი აღარა დარჩენია რა იობსავით უნდა იმეორებდეს: „ღმერთმა მომცა და ღმერთმა წაიღოო“. ანგარიშისათვისაც კი საჭიროა, როგორც მუშის ქირა, ისე სხვა ხარჯები, ცხადი, გარკვეული იქნეს, მაშინ მუშა დაბეჯითებით იტყვის: ეს ჩემ ოფლში აღებული ქირაა და ვერავინ წამართმევსო... აწი კი გადავიდეთ 30 მარტის საგანგებო კრების დადგენილებაზე, ანუ უკეთ ვთქვათ ნახევარ დადგენილობაზე და ნახევარ დაუდგენელობაზე; თუ კაცს ახლოს არ გაეცნობი, ნუ იტყვი მაზე კარგს, ნურც ცუდს; რადგან ორივე შემთხვევაში თავს მოიტყუილებ: ასეა ჩვენი საქმეები. როცა ვისმე ახლო გაშინჯავ, გაჩხრეკავ, იმაზე აზრს შეადგენ ანუ შეიცელი, ამის საბუთებიც ხელში უნდა გქონდეს, თვარა უამისოთ ხან ერთის ხარ ხან მეორესი. ჩემთვისაც ძალიან საჭირო იყო, საქმე რომ ჩემი თვალით მენახა, ჩემი ყურებით გამეგონა. ეს მომიხერხდა და დარწმუნებულმა ვთქვი: გასაკვირველი აქ არაფერი არის, რასაც ველოდი ის დამიდგა თვალ წინ, რასაც მეუბნებოდენ, ასეაო ის ჩრდილს ამოეფარა.

30 მარტის კრება დასრულებული არ არის პირველი 9 კითხვა, ასე იყო თუ ისე, მოისმინა საზოგადოებამ და გადაწყვიტა (აქ მოიგონეთ დადგენილობაში შეტანილი შენიშვნები). 9 კითხვას გარდა საზოგადოებას სხვა არა მოუსმენიარა, მაშ დანარჩენი აღარც გადაუწყვეტია. რისთვის? აი, რისთვის. ბ. მმართველმა კითხვა ასე დააყენა: აირჩიოთ ხაზინადრათ მღვ. ცაგარეიშვილი და მას მდივანიც მიეცეთო. ამ ორს—ჯამაგირათ 500 მ. დაეუნიშნოთო: ეს კრებამ არ მიიღო და გაცხარებული პროტესტი გამოაცხადა. კრებას კიდევაც უკვირდა: თუ ხაზინადარს აირჩევთ, მან ეს საქმე უნდა იცოდეს და იმისი თანაშემწე რილას მაქნისიაო. თუ ანგარიში არ იცის, იმისთანა მოლარე ჩვენ საქმეს არ გამოადგებაო.

ბ. კ. ქუთათელაძე კრებას არ აურჩევია (და ისიც სამის წლით?!). რადგან ამ დროს არეულ-დარეულობა ჩამოვარდა, სმენა აღარ იყო და კრების უმეტესობა წავიდ-წამოვიდა. მაშ 9-ის შემდეგი კითხვები: მე 10-ე მღვ. ცაგარეიშვილის, 11—აზ. კ. ქუთათელაძის, 12—ბ. მოსეშვილის, 13—შალისა, 14—ქსოვა საქსოვებისა, 15—ორდერებისა—კრებას არ მოუსმენია და აღარც რა გადაუწყვეტია.

ხომ გახსოვს მკითხველო, რომ კრებაზე 300

*) იხ. „ᲙᲕᲐᲚᲘ“ № 24.

წევრი დაესწრო? მეორე დღეს დილით მხოლოთ 37 კაცს ეწერა დადგენილობაზე ხელი, ვითომ და ეს კრების განაჩენია?! შეადარეთ 37 წევრი 300 ს და დარწმუნდებით, რომ კრებას კარგათ არ ჩაუვლია. თუ დრო გექნებათ, განაჩენებიც გადაათვალიერეთ და მიაქციეთ ყურადღება რიგ-რიგათ ხელის მომწერლებს; აქაც ნახავთ ყურადღების ღირსს მასალას. იმასაც მიაქციეთ ყურადღება, რომ 300 წევრთა შორის მხოლოთ 150 იქნებოდა წერის მცოდნე და ამ რიცხვის მაგიერათ 37 აწერს ხელს. ამ გვარ განაჩენს კრების დადგენილობით ღებულობს ის, ვისთვისაც ეს საჭიროა.

ერთმა ჩვენებურმა ორატორმა ამხანაგობის დაარსების მიზანი კაცთ-მოყვარეობაზე ააშენა: ეს ამხანაგობა მოგებისათვის კი არ არის დაარსებული, არამედ „კაცთ მოყვარე“ მიზნითო. მეორემ თქვა: ჩვენ აქ გვინდა ბევრი ფასი მივცეთ და იქ გაყიდვის დროს ბევრი ავიღოთო და უნდა იცოდეთ, რომ (თუ ჩვენ კარგ ჯამაგირებს მოგვცემთო,—არა?) ეს თქვენ სრულიადაც არ შეგეხებათო; „ეს ფული იქიდან უნდა მოვიტანოთ, იქიდანო“. ერთი ვიკითხოთ: ნუხელი, თუ ლიონ-მარსელის ფაბრიკანტები გამოგვიგზავნიან?

პირველი ორატორი ცრუ მორალისტის იარაღს ჰკიდებს ხელს, რომ თავისი სიტყვა, ინტერესი დაიცვას; მეორე კი ცრუ ბურჟუაზულ ეკონომისტის იარაღს ეპოტინება, რომ კრების გული მოიგოს (შენ თუ გეშინია, არაფერი გახდებაო) და ამით ჯამაგირი გაიზარდოს. ერთიც და მეორეც ამ შემთხვევაში ფარისეველურს ტანისამოსშია გახვეული, ამისთვისაც საშიშარნი არიან. თუ მართლა ეს ამხანაგობა კაცთ-მოყვარე მიზნითაა შემდგარი, რისთვის მითხარით უარი, როცა ცხვირ წინ კუხის სკოლის და ბიბლიოთეკის დაარსებისთვის ვთხოვე ამ კაცთ-მოყვარე საზოგადოებას შემწეობა? 1587 პაია გაყიდული და სამ-სამი კაპეიკის შეწირვით, მხოლოთ 47 მ 61 კ. გადახდებოდა მთლათ ამხანაგობას! აქ ერთხელ იკრიბებიან წელიწადში და თუ ასე მცირეოდენი ფულიც არ გაიღო ამხანაგობამ საქველ მოქმედო საქმისთვის, ძალიან „კაცთ მოყვარე“ ამხანაგობა არ ყოფილა?!

გურიის სუსტმა და უფულო ამხანაგობამ კი 100 მან. გადადვა საზღვარ-გარეთ მყოფ სტუდენტისათვის. ახლა შეადარეთ: გურიის ამხანაგობის თანხა—კუხისას, გურიის ამხანაგობის მოგება—კუხისას და ოზურგეთ ლანჩხუთის საზოგადოების „კაცთ მოყვარეობა—კუხელ-გუბელ ხონელ-ჯიხაიშელ და სხვა კაცთ-მოყვარეობას და ცხადათ დარწმუნდებით, რომ „კაცთ-მოყვარეობი“-ს სიტყვის წარმოთქმა კრებაზე მარტო წამოცდენა და სხვისი მოტყუებაა...

ახლა ყური დავუგდოთ თვითონ ხალხს, აბრეშუმის მუშა დედაკაცებს და ხალხური თქმულებით ვიხელმძღვანელოთ: ხმა ღვთისა ხმა ერისაო. ხალხიც გვეუბნება, რომ ხალხის ხმა ჭეშმარიტიაო. ამბობენ: ავწონეთ, აწონილი ნედლი პარკი გავგზავნეთ და ამაზე 10-15-20—25 გირვანქა დაგვაკლდა „სკიდკას“ გარდაო. ეს ხმა საყურადღებოა და სიმართლეს მოკლებული არ იქნება, მისთვის რომ მარტო ერთ-ორს არ უთქვამს საჩივარი, ამას ძალიან ბევრი მეაბრეშუმე გაიძახის. ამას უმატებენ: ღმერთმა ნუ ქნას, იქ პარკი მივიტანოთო და სხვა... ეტყობა, აქ უზნეობას ფეხი მოუკიდია, ამხანაგობას ძირს უთხრის და ამის გამორკვევის, გასწორების მაგიერათ ცდილობენ ხალხი სიტყვების რახა-რუხით გააყრუონ. ბატონებო! გარწმუნებთ, რომ ის ვექილობა, რომელზედაც სამ სამს ოთხ-ოთხს კაცს ხელს აწერინებენ არაფრათ გამოგადგებათ, საქმე'ა კი ძალიან დააზარალებს. თუ ამხანაგობის გულ-შემატკივრებს საქმეში გამჭრიახობა გამოეჩინათ, პირველათ უნდა ცდილიყვენ ხალხში დაბადებული ხმების მოსპობას—გაფანტვას; ხალხი უნდა დაერწმუნებიათ, რომ დღეიდან მაინც წარმოებაში უწესოება თავს ვერ იჩენს; ეს შეიძლებოდა მაშინ, როცა კითხვებს კრებაზე გულდასმით გაარჩევდენ, როცა კარგ მმართველობას—რჩევასშეადგენდენ და ამნაირათ მთლათ შეცვლიდენ წინანდელ ორგანიზაციას და საქმის მიმართულებას. ამგვარათ, კითხვების გარჩევა-გადაწყვეტას შემდეგ ყველას შეეძლება თქვას, რომ საქმის მოთავეს ამგვარი უფლებების ვექილობა და ინსტრუქცია ესაჭიროებაო; ასე რომ საქმე გამორკვეული იქნებოდა, შემდეგ არავინ უარს არ იტყოდა რიგიანობაზე; მაშინ ექნებოდა მნიშვნელობა ხელ-ახალ პაების გამოცემას, რადგან მუშტარი ეყოლებოდა, მაშინ საშუალება ექნებოდა ამხანაგობას და განყოფილების გახსნის კითხვაც განხორციელდებოდა.—მაშინ ექნებოდა ვექილობასაც მნიშვნელობა მმართველის ხელში, თვარა ახლა, ვინ იცის შეიძლება ვექილობის შედგენა და ბანკიდან ფულის სესხებაც მოახერხონ წვალებით. ერთი, რომ ბანკის ფულს 9 % უნდა, ეს ამხანაგობამ ბანკისთვის უნდა მოიგოს, მეორე ცუდი გარემოება ამხანაგობისთვის ისაა, რომ უცხოელი მყიდველები თან-და-თან გამოდიან ამ საქმის საწარმოებლათ, ეს უთუოთ ადგილობრივ ბირჟაზე ბრძოლას გამოიწვევს. ეს კარგია, რასაკვირველია, ნედლი პარკის გამყიდველებისათვის და შესაწუხებელი მთლათ ამხანაგობისთვის, რადგან უცხოელი ვაჭრები ცხადია დაძლევენ ჩვენ უფულო—გამოუცდელ ამხანაგობას. ამა'ს დაუმატეთ ის მდგომარეობა, რომ ამხანაგობის მმართველობას აბრეშუმის მომყვა-

ნელი წერილები უკვე ემდურიან; ეს ხმა გვარწმუნებს, რომ თანასწორ ფასში, გარეშე მყიდველს ბევრი წაულებს პარკს, თუ გინდ ის ამხანაგობის წევრიც იყოს.

მმართველობას „სკიდკაზედაც“ უნდა მიექცია ყურადღება. შეიძლება ესეც მოხდეს, რომ ამხანაგობამ ვისმესგან გირვანქა ნედლი პარკი 20 კაპეიკათ იყიდოს, 2—3 გირვანქა „სკიდკით“, მაგრამ ეს პარკი 25 კაპეიკიანთან ერთ-და იმავე ფასში გაიყიდოს; ამ შემთხვევაში აბაზით პარკის გამყიდველს ფასიც ნაკლები მოუდის და „სკიდკითაც“ ისჯება, მაშინ როცა ამ ორ გვარი პარკის ფასი ერთი და იგივეა. გაარჩიეთ, თუ მოხერხდება (თუ არა, წესიერების დასაცველათ უნდა მოახერხოთ), დააწყვეთ ცალკე ერთ-ფასიანი ნედლი პარკი, თუ ეს სხვა პარკთან ერთათ გაიყიდება, მაშინ წესიერება მოითხოვს, რომ ნედლი პარკის გამყიდველს დაუბრუნოთ, რაც წინეთ დააკლდა. ეს წესიერება იქნება და ამხანაგობას სახელს მოუპოვებს.

ამას გარდა შენდება სახლები, კეთდება ეზოები და სხვა. მე მგონია, რომ ეს საზოგადოებას არ მოუსმენია, არც გაურჩევია, აღარც ნება-დაურთავს ვისმესთვის ამაზე. საჭირო კია, რომ ყოველთვის საზოგადო საქმეს საზოგადოებისაგან აწყობილი ჩარხი მართავდეს და საზოგადო ბეჭედი ესვას; თვარა ბევრი მაგალითები ვიცით, რომ თითო-ოროლა კაცის ჭკუას ხშირათ ჩაუფლავს ტლაპოში ამხანაგობა. ამ შემთხვევაში პასუხისმგებელი იქნება თუ ქონებით ვერა, ზნეობრივათ მაინც, ამხანაგობის გამგე. ჩაიხედეთ თქვენ დარდუბალის კოლოფში და დარწმუნდებით: თუ გამგემ საზოგადოების დაუკითხავათ იმოქმედოს, მისი მოქმედება მაინც ხომ შეზღუდული უნდა იყოს, შეძლების უქონლობის გამო.

ამასთანავე დიდი ყურადღება უნდა მიექცეს პარკის გარეშე ბაზარზე გატანის, გაყიდვის საქმეს. თუ გვინდა ჩვენი პარკი გარეშე ბაზარზე გადიოდეს, საჭიროა იმ ბაზარს ვიცნობდეთ და ცნობები ხელთ გვქონდეს. თუ ეს პირობები არ ვიცით, მაშინ ნამდვილი ქართული, ჩვენებური ვაჭრები ვიქნებით და საქართველოს იქით უვარგისნი. წინანდელ მმართველობამ ჩემით მოინდომა პატარა სანიმუშო საქმის დაწყება; სანიმუშო საქმემ გვაიძულა, რომ საფრანგეთის ბაზარზე საქმე შეგვესწავლა. საკმაოთ გამოვარკვიეთ მაშინდელი ბაზრის მდგომარეობა და ფასი, ამას შემდეგ გადაჭრით მოვიწერეთ ფასი ამდენია, და პარკი გამოგზავნეთ-თქო. „არა, პარკს ჩვენ აქ ვყიდითო“ — მიეღეთ პასუხი; ამ პასუხსვე გაჰყვა წინანდელი მიწერ-მოწერა.

ამ წერილში მკითხველს გავაცნეთ მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობის მოქმედება. ეჭვენ ეძლევა სუსტი მხარეები და ახლა კი დროა გავათავოთ, მაგრამ ნულარც ისე გამოვესალმებით, რომ ჩვენი გულწრფელი რჩევა თან არ გავატანოთ. ვიცით, რომ ამხანაგებს ამხანაგობის არსებობა სურთ. მაშ მისი არსებობისთვის საჭიროა: ა) რომ მართველობა შედგებოდეს ვაჭრობის მცოდნე პირთაგან, ბ) რომ ანგარიში შედგენილი იყოს გარკვეულათ და წესიერათ. გ) ყიდვა-გაყიდვისა და დიდი კითხვების შესახებ რჩევის შედგენა და რჩევის გადწყვეტილების შემდეგ სისრულეში მოყვანა. დ) რომ ამხანაგობის მოქმედება ეთანხმებოდეს მის შეძლებას. ძაფის ამოხვევა უნდა შეადგენდეს უახლოესს მიზანს ამხანაგობის მოქმედებისას. თუ ამას შეასრულებს, შემდეგ ხელი მიჰყოს ქსოვას და სხვ. შეიძლება შემომეკითხონ, რა ცელილება მოხდება ამას შემდეგო? აი, რა: წეს-რიგში ჩაყენებულს ამხანაგობას კერძო პირები, დაწესებულებები და შინაურებიც მიენდობიან და შემდეგ შეიძლება მხოლოთ ძალ-დაუტანებლათ იმ ჭრელ-ჭრელი ფარატინების გაყიდვა, პაებს რომ ეძახიან. რაკი წესიერი მმართველობა შედგება, მაშინ პარკის გამყიდველები, ნაკლები ფასი რომ მიიღონ, მაინც ნდობით მოეპყრობიან ამხანაგობას. ამ ნაირი ხალხის სიმპატია ამხანაგობისთვის არსებობის იმედია, რადგან ამას შემდეგ შეიძლება განყოფილებებიც გაეხსნათ.

ვათავებ და უკანასკნელათ ვიტყვი, რომ ამ წერილის დაწერა გულწრფელობითაა გამოწვეული; ვეჭვობ, იქნება ჩაიხედონ ამ სარკეში და ძალიან დაჩირქიანებული ალაგები გაამრთელონ.

ი—ბ. კაკაბაძე.

ქაჯი.

(მოსწრობა)

(დასასრული *).

VI.

წორეთ იმ დროს, როცა კარებში გაშხლართულ გოგიას ხალხი დაესია, ციხიდან გამოვარდა ერთი დიდი შავი ძაღლი, გაირბინა ხალხში და ის-ის იყო კიდეც მიიმალებოდა თვალიდან, რომ ზემოხსენებულმა ქერა კაცმა ესროლა თოფი და ძაღლი იქვე დააწვინა. თოფის ხმა თითქმის

*) იხ. „კვალი“, № 26.

ყველამ გაიგონა, მაგრამ რადგანაც ხალხი გოგიას უნდებოდა, ისე უყურადღებოთ ჩაიარა, რომ იმავე წამში ვისთვისმე გეკითხათ, თოფის ხმა გაიგონე თუ არაო, „არას“ გიპასუხებდათ.

ქერას ძალიან გაეხარდა: ქაჯი მოვკალიო, იყვირა. ხალხი მიცვინდა. ნახეს ძაღლი, რომელიც მაშინვე ქაჯათ დასახეს: ი წყეული ძაღლათ გადაქცეულა!.. მერე გარეთ გამოვარდა და, ყოჩაღ, მარკოზა!.. ქაჯი მოჰკლა, ქაჯიო!.. მარკოზა და ყველანი გახარებული დაბრუნდენ შინ. მარკოზას თან მიჰქონდა თავის ნანადირევი.

— აჰა, ქალო! მიაძახა ცოლს მარკოზამ:—ქაჯი ძაღლათ გადექცა, გოგია „გრძელი“ (გოგიას მეტ სახელათ „გრძელს“ ეძახოდენ) წაექცია და მირბოდა, მაგრამ მოვკალი!..

ქაჯის სანახავათ ყველა კეირიკელი ქალები მოგროვდენ. ნახეს ქაჯი,—ძაღლია; გაუშინჯეს თავი, თვალები, ყურები,—ძაღლია, უსუნეს იქნებ სუნი ჰქონდეს სხვანაირიო, არა—ძაღლია ძაღლი!—დიდება შენდა ღმერთო! რანაირათ მიიღებს ძაღლის სახეს ი წყეული?! საკვირველია!.. ხედავ, ძაღლია, შავი ნაგაზი, და ქაჯი კი თურმე!.. სხვათა შორის ქაჯის სანახავათ მოვიდა ერთი კეირიკელივე გლეხი და, რას შეხედა: ქაჯის მაგიერათ დაუხვდა მისი შავი ძაღლი, რომელსაც იგი აგერ მეორე დღეა, რაც ეძებდა. სეხნიამ (ეს იყო ამ კაცის სახელი) შეჰყვირა:

— ძაღლი რისთვის მომიკალით? მოსახლე კაცი ამომგდეთ! რას მიპირობთ?! ჩემი ძაღლი ასი მანეთი მეტი ღირს!

მარკოზა და იქ მყოფნი ჯერ თითქო სიზმარში იყვენ. მერე როცა კარგათ დაუკვირდენ, იცნეს სეხნიას ძაღლი, რომელსაც კბილები ჩაამტვრია თეკლემ: ამას ეგონა ქაჯი მამაშორისო და გახარებულმა მკვდარ ძაღლს ქვით კბილი ჩაანაყა. ახლა კი თეკლე ვერაფერ გუნებაზე იყო; მარკოზას ხომ თითქმის გულს შემოეყარა!—ამან იცოდა, რომ სეხნია უთუოთ იჩივლებდა და ღარიბ მარკოზას სად ჰქონდა ასი მანეთი!?

გავიდა სამი, თუ ოთხი დღე და მარკოზას უწყება მოუვიდა სოფლის სასამართლოდან.—მარკოზას იბარებდენ სეხნიას ძაღლის მოკვლის თაობაზე.

საწყალ მარკოზას მეხი კინაღამ დაეცა. რას იზამდა! გაწყო კარგი ძღვენი ქათამ-ინდოურებით, შემწვარი გოჭ-ბატკნით, ხაჭაპურებით, აიკიდა ყველა ეს ხათაბალა ზურგზე, თან ერთი დიდი დოქი ღვინო დაიკავა ხელში და გასწია სასამართლოში. მარკოზას სასამართლოში უნდოდა რამე ნაირათ სეხნიას გული მოელბო, მაგრამ უკანასკნელი შეუბრალებელი კაცი გამოდგა: „ძაღლი მომიკლა, ძაღლიო“ ყვიროდა იგი გამწარებული

მარკოზამ უპასუხა:—მე ქაჯი მეგონა და არა ძაღლიო!

— შენ გეგონა, გეგონა, და მე კი ძაღლი მომიკალი.

— რას ფიქრობდი, შე კაცო, თუ ძაღლი იყო?

— რას და იმას, რომ ერთხელ გიკბინა და ძალზე აგაყვირა! ჯავრი ამოიყარე განა?!—ყვიროდა სეხნია.

ბევრ ყოყმანს შემდეგ მარკოზას გადაუწყვიტეს სეხნიას სასარგებლოთ ოც-და-ხუთი მანეთის გადახდა; ძღვენმა ამაოთ ჩაიარა!.. ოც და-ხუთი მანეთი სოფელში მოაგროვეს და ისე მისცეს სეხნიას.

VII.

გაიარა დრო-ჟამმა. სოფიომ—თეკლეს დედამთილმა—თქვენი ჭირი წაიღო. დარჩა მარტოკა თეკლე, ყოველ დამ ქაჯი არ ასვენებდა. მაგრამ საკვირველი ეს არის, რომ ზემოხსენებულ ამბებს შემდეგ ქაჯმა ხასიათი გამოიცვალა. უწინ თუ დიდგულობდა, ახლა, სამაგიეროთ, დიდ გულ-კეთილობას იჩენდა; უწინ თუ სასტიკათ ცემდა წიხლს ფაცხის კედლებს, ახლა ოდნავ შეანძრევდა, თითქოს უნდოდა თეკლესთვის შეეტყობინებია, აქა ვარო. თეკლეც რაღაცა მიეჩვია ქაჯს,..

— თეკლე, თეკლე, არ წააგებ, მერწმუნე, წაჰყევი იმ კაცს ცოლათ,—ეუბნებოდა თეკლეს ერთ საღამოს სოფიოს და—ხვარამზე.

თეკლეს ამ სიტყვებზე ცოტა არ იყოს შერცხვა; მაგრამ ბევრი ლაპარაკიც საჭირო აღარ იყო: თეკლე თითონ გრძნობდა, რომ მისი ასე დარჩენა დიდხანს არ შეიძლებოდა. ერთ კვირას შემდეგ თეკლე და რევაზა მუჭაძე—ესეც ქერივი—დაქორწილდენ.

თეკლე და რევაზა ცხოვრებდენ ტკბილათ, თეკლე თავის თავ-გადასავალს ხშირათ მოუყვებოდა ხოლ-

მე ქ არს და ერთხელ ლაპარაკში გამოურია ისიც, ქაჯი რომ დაკოჭლებული მირბოდა. თეკლეს ძალიან გაუკვირდა და თავის თავი თითქმის სიზმარში ეგონა, როცა რევაზმა უთხრა, რომ ის ქაჯი მე ვიყავი და დაკოჭლებული მივდიოდი მისთვის, რომ ტიტველა ფეხის-გულში შემერჭო ფაცხის წკნელის წვერიო.

დ. თომაშვილი.

ქ ა ლ ი - ფ ა ლ ა ვ ა ნ ი.

ბერლინის საზამთრო ბაღში სტუმრათ მოსულა ერთი ღონიერი ქალი, რომელსაც სახელათ არნიოტის ჰქვიან. რომ შეხედო, მიხვრა-მოხვრით, ყოფა-ქცევით და ნაზი სიტყვა-პასუხით ქალია, ქალი; მაგრამ ღონე კი ფალავნის და გმირის აქვს. ის დასვამს ხოლმე ფიცარზე ხუთ ვაჟკაცს და აზიდავს ხელებით ისე თავისუფლათ, თითქოს გაჭირვებაც არა ეტყობარაო.

წერილები რედაქციის მიმართ.

„კვალის“ მე-24 №-ში ამოვიკითხეთ, რომ ერთს პატივცემულ შემომწირველთაგანს, შემოქმედის უფასო სამკითხველოსას, ჩვენზე ეჭვი აუღია და მკითხველი საზოგადოება ეჭვში შეჰყავს და გვთხოვს სამკითხველოსათვის ჩემ-მიერ შეგროვილ შემოწირული ფულების ანგარიშს. ნუ წუხართ ბ. ქველმოქმედო! ჩვენი ვალდებულება უთქვენოთაც არ გავიწყდება. თუ თქვენ, შემოწირულების გამოცხადება გნებავდათ, გებძანებინათ და გამოვაცხადებდი, თვარა, რით, იცით, იმ მდაბიო ხალხმა, რომელთაც სიაზე ხელი მომიწერეს და ინებეს თავიანთი წვლილის შემოწირვა ამ კეთილ საქმისთვის, ყველამ ხელის მოწერისათანავე გაღიხადა ფული თუ არა? მე შევაგროვე მხოლოთ ცხრამეტი მანეთი, რომელიც უკვე გადავეცი სამკითხველოს ხაზინადარს და შემწირველთა სიას მაშინ გამოვაცხადებ, როცა ყველა ის პატივცემული პირნი, რომელთაც ხელი მომიწერეს, ფულებს შემოიტანენ. ვთხოვ ბ. ჩხარტიშვილს, სამკითხველოს გამგეს, დაუმტკიცოს ჰოუთმენელ ქველმოქმედს ჩემი წერილის სიმართლე.

ირაკლი ერქომაიშვილი.

ს. კულაში: ამა მდგომარე წლის პირველ იანვრიდან, რწმუნებულ ჩემდამო საქალებო წიგნთ-საცავში, კნეინა ნინა მიქელაძის თაოსნობით [illegible] სო სამკითხველო, რომელიც დღეს ძლიერ ღარიბია, როგორც ჟურნალ გაზეთებით, აგრეთვე ქართული წიგნებით. ვთხოვ უმორჩილესათ პატივცემულ მკითხველ საზოგადოებას აღმოგვიჩინოს შემწეობა წიგნებით. ამასთანავე ერაცხ საჭიროთ აღვნიშნო, რომ ამ ცოტა ხნის განმავლობაში სამკითხველომ უკვე მოიპოვა 23 პირი მუდმივი მკითხველი, გარდა 38 ჩემი მოწაფე ქალიშვილებისა. შეწირულებანი მიიღება: Ст. Самтреди. учительницѣ Канделаки.

კულაში საქ. სკოლის მასწავ. ნეონილა კანდელაკისა.

—

პატივცემულო, ქ-ნო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენი პატივცემული ჟურნალი „კვალის“ საშუალებით უგულითადესი მადლობა ვუძღვნა მიხეილ ვასილის ძე კობახიძეს, რომელმაც აღმითქვა სამკითხველოს სასარგებლოთ ჟურნალი „კვალის“ ნახევარი ამ წლის ფასის გადახდა.

გამგე მეჯვრისხევის წიგნთ-საცავისა
ეკატერინე გიორგის ასული გნ. ერისთვისა.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

ХАРЬКОВСКАЯ

ЗУБОВРАЧЕБНАЯ ШКОЛА

ОТКРЫВАЕТСЯ СЪ 1-го СЕНТЯБРЯ.

Принимаются прошенія отъ лицъ, желающихъ получить званіе зубнаго врача или дантиста.

Съ разрѣшенія г. попечителя учебн. окр. воспитанники школы имѣютъ свободный входъ въ анатомическій театръ и лабораторію университета. Составъ лекторовъ слѣдующій: профессора универ. гг.: Поповъ С., Бѣлоусовъ, Додукаловъ, Орловъ и Репревъ; лаборантъ унив. Θедоровскій и докт. мед. Немировскій. Обращаться къ учредителю д-ру Немировскому (Николаевская площадь, д. Штейфона).

(4—4).

Доз. ценз. Тифлисъ, 28 Іюня 1897 г. Тип. М. Д. Ротиніанца—სტამბა, მ. დ. როტინიანცისა Гол. пр. д., № 41.